



**შემოსავლების
სამსახური**

ბრძანება N 29736

17/10/2018

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 18 ივლისის №34134 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ და „უ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 18 ივლისის №34134 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესში“ შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6¹ პუნქტი:

„6¹. თანამშრომელი, რომლის მიმართაც გამოყენებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა ამ წესის 17¹ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ და მასზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების 6-თვიანი ვადა.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მიხეილ დუნდუა

შემოსავლების სამსახურის უფროსი